ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N36

ქ.თბილისი

25 იანვარი, 2019 წელი
16⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: დავით უჯმაჯურიძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი
რამინა ბერაძე
ოთარ გრიგოლია
ბექა დავითულიანი
ლევან დარახველიძე
ნიკოლოზ ვაჩეიშვილი
გოჩა თევდორაძე
ანა ლაშხი
ლილე ლიპარტელიანი
გიორგი მუსხელიშვილი
თინათინ ნიბლოშვილი
ელენე ოზაშვილი
დათო ჟღენტი
რევაზ სოხაძე
დავით უთმელიძე
თარაშ შურღაია
ავთანდილ ცინცაძე
დავით ჭელიძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ქეთევან ჯოხაძე
ლევან არველაძე
გულია გოცირიძე
გიორგი დოხტურიშვილი
ფრიდონ ინჯია
ერეკლე კუხიანიძე
ნინო ლაცაბიძე
ქეთევან მამულაშვილი
ირაკლი ნადირაძე
შალვა ოგბაიძე
ლევან ჟორჟოლიანი
დათო რურუა
თამარ ტალიაშვილი
ვახტანგ შაქარიშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ვლადიმერ ძნელაძე
ლევან ხაბეიშვილი
ლევან ჯაფარიძე
ჯაბა ჯიშკარიანი
ილია ჯიშკარიანი

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა მუმლაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე გვანცა ნიკოლაიშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ეკა ცეცხლაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ბექა დავითულიანმა ისაუბრა თბილისის მერის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე, რომელიც შეეხებოდა ვაკის პარკში სასტუმროს მშენებლობას და განაცხადა, რომ ქალაქის ხელისუფლების მხრიდან, დედაქალაქის და საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ, მიღებული იქნა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომ ამ ტერიტორიაზე არ აშენდება არც სასტუმრო „ბუდაპეშტი“ და არც რაიმე სხვა ნაგებობა. მისი თქმით, „სამოქალაქო აქტივიზმმა გამოიღო ძალიან კონკრეტული, პოზიტიური შედეგი და შედგა თანამშრომლობა“, რაც იმის ნათელი მაგალითია, რომ ქალაქისთვის სასარგებლო შედეგების მიღწევა შესაძლებელია საზოგადოებრივი ინტერესის გაძლიერებით და სახელმწიფო უწყებების მხარდაჭერით.

ლევან ხაბეიშვილმა ისაუბრა დიდ დიღომში, ბუნებრივი აირის აფეთქების შედეგად მომხდარ ტრაგედიაზე და განაცხადა, რომ სატრანსპორტო კომპანიის ხელმძღვანელმა, მამუკა კობახიძემ, რომელიც ამავდროულად, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, „ყაზტრანსგაზის“ გენერალური დირექტორია, უნდა დატოვოს თანამდებობა. მისი თქმით, ის სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობს ვერც ერთ თანამდებობას და რადგან „ყაზტრანსგაზის“ გენერალური დირექტორის თანამდებობის დატოვებაზე საკითხს ლევან ხაბეიშვილი ვერსად დააყენებს, ამიტომ მნიშვნელოვანია კობახიძემ დატოვოს სატრანსპორტო კომპანიის ხელმძღვანელის თანამდებობა. ისაუბრა სამგორის რაიონში მომხდარ ტრაგედიაზე, სადაც თხრილში ჩავარდნის შედეგად, გარდაიცვალა 13 წლის მოზარდი და განაცხადა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა ეკისრება მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომლებს, რომლების თანამდებობრივ გულგრილობას შეეწირა მოზარდის სიცოცხლე, რადგან თხრილი უყურადღებოდ იყო რამდენიმე კვირის განმავლობაში და ამიტომ უნდა დადგეს კონკრეტული თანამდებობის პირის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი. ლევან ხაბეიშვილმა გაიხსენა თბილისის მერის ქმედება, როდესაც მან დაითხოვა საბავშვო ბაღებში საკვებით მომარაგების ტენდერში გამარჯვებული კომპანია, რადგან ამ უკანასკნელმა ბაღში შეიტანა უხარისხო ყველი და აღნიშნა, რომ მერის მაშინდელი პოზიცია იყო აბსოლუტურად სწორი. ამ ეტაპზე ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ არათუ ერთი, არამედ ოთხი სახეობის უხარისხო პროდუქტი შეიტანა საბავშვო ბაღში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ დედაქალაქის მერის მოადგილეც ადასტურებს გარკვეული გადაცდომების არსებობას, გაუგებარია რატომ შემოიფარგლება ამ შემთხვევაში მერია კომპანიის მხოლოდ ფულადი დაჯარიმებით. ლევან ხაბეიშვილმა მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს, დააფიქსირონ პოზიცია მის მიერ ნახსენებ საკითხებზე.

რევაზ სოხაძემ ისაუბრა ვაკის პარკში სასტუმროს მშენებლობასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაზე და განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მეტი ინვესტორი იყოს დაინტერესებული არა მხოლოდ თბილისში, არამედ ქვეყანაში ინვესტიციის განხორციელებით, აუცილებელია სახელმწიფომ და თვითმმართველობამ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ბიზნესის კეთების გამარტივებას. თუმცა, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ქალაქის დღევანდელ ხელისუფლებაში არიან ის ადამიანები, რომლებიც არავის, არაფრის ფასად არ მისცემენ „ქალაქის შეურაცხყოფის“ უფლებას. მისი თქმით, სწორედ „შეურაცხყოფაა, როდესაც კონკრეტული ჯგუფი ცდილობს ვაკის პარკში შენობის განთავსებას... შეურაცხყოფაა, როდესაც „აჭარის“ წინ, ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე ორმოც სართულიანი სასტუმროს აშენების უფლებას გასცემ...“ რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ „დამთავრდა ქალაქში საზოგადოებრივი სივრცეების ხელყოფა და სარეკრეაციო ზონების განადგურება“ და დღევანდელი ხელისუფლება არ დაუშვებს მსგავსი დანაშაულებრივი გადაწყვეტილებების მიღებას და უკვე მიღებული ასეთი გადაწყვეტილებების აღსრულებას. მისი თქმით, ინვესტორი ორიენტირებული არ უნდა იყოს მხოლოდ სარგებელზე, არამედ მან უნდა

იზრუნოს იმაზე, თუ როგორ შესძინოს ქალაქს ახალი არქიტექტურული ღირებულების ობიექტი და ანგარიში გაუწიოს მოსახლეობას.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ ბიზნესისთვის შესაძლებელია იყოს სულერთი, სად ჩადებს ფულს, თუმცა სულერთი არ არის ქალაქისთვის და მოსახლეობისთვის. რა თქმა უნდა, არავინ ეწინააღმდეგება ინვესტიციის განხორციელებას, მშენებლობას და ქალაქის განვითარებას, თუმცა ეს უნდა განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ ქალაქის და საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით. ისაუბრა მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილ საკითხზე, რომელიც ეხება ბახტრიონზე არსებული კორტების ტერიტორიის მონაცვლეობის საკითხს და განაცხადა, რომ ქალაქი იბრუნებს გასხვისებული კორტების ნაწილს და იმედი გამოთქვა, რომ ძალიან მალე პროცესი დასრულდება და ეს მნიშვნელოვანი სივრცე სრულად დაუბრუნდება მოსახლეობას და სამომავლოდ, მოეწყობა საქალაქო მწიშვწელობის სპორტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურა.

ფრიდონ ინჯიას თქმით, საგარეო საქმეთა სამინისტრომ თანხმობა განაცხადა საქართველოში ლტოლვილების შემოყვანაზე და აღნიშნა, რომ მათი ნაკადი ძირითადად დააწყვება თბილისს. მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ უბინაოდ არის ათასობით ქართველი ლტოლვილი, დაინტერესდა რამდენად მზად არის თბილისი უცხო ქვეყნის ლტოლვილების მისაღებად, იქნება ეს ფინანსური თუ მატერიალური რესურსის კუთხით.

ოთარ გრიგოლიამ ისაუბრა ვაკის პარკში სასტუმროს მშენებლობასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაზე და განაცხადა, რომ წლების განმავლობა კერძო და საჯარო ინტერესის ბალანსი დარღვეული იყო საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ. ხოლო, ბოლო პერიოდში, დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკური გუნდის ერთიანი მუშაობის შედეგად, ეს საკითხი მიდის დაბალანსებისკენ. მან მადლობა გადაუხადა თითოეულ ადამიანს, ვინც მონაწილეობა მიიღო აღნიშნულ საკითხის მოგვარების პროცესში და რომელთა ჩართულობის გარეშეც პრობლემა არ მოგვარდებოდა.

თამარ ტალიაშვილმა განაცხადა, რომ ვაკის პარკის მიმდებარედ სასტუმროს მშენებლობის შეჩერების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება იმის დასტურია, რომ დღევანდელი ხელისუფლება ცდილობს გამოასწოროს წლების წინანდელი „გამრუდებული სისტემა“. სწორედ ამის ნათელი მაგალითია ასევე, ბაგა-ბაღების მიმართულებით ჩატარებული სისტემური სამუშაოები, რამაც განაპირობა ის, რომ ყოველწლიურად მატულობს კერძო ბაღებიდან საჯარო ბაღებში ბავშვების გადაყვანის ტენდენცია. თამარ ტალიაშვილი გამოეხმაურა ლევან ხაბეიშვილის მიერ, ბაგა-ბაღებში კვებასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და განმარტა, რომ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას დარღვევა ჰქონდა არა სურსათის ხარისხის კუთხით, არამედ 1%-იანი ცდომილებაა ცხიმიანობასთან დაკავშირებით და აღსანიშნავია, რომ ასეთი მცირედი ცდომილებაც კი გახდა კომპანიის დაჯარიმების საფუძველი. მისი თქმით, ბაგა-ბაღებში კვება მკაცრად კონტროლდება ოთხი სხვადასხვა სამსახურის და რამდენიმე ლაბორატორიის მიერ და ასევე გაგრძელდება მომავალშიც.

შალვა ოგბაიძემ ვაკის პარკში სასტუმროს მშენებლობის შეჩერებასთან მიღებულ გადაწყვეტილებაზე განაცხადა, რომ „დღეს გაიმარჯვა კეთილმა ნებამ და დედაქალაქისადმი ჩვენმა დიდმა სიყვარულმა და ეს არის ის თემა, რომელიც გვაერთიანებს და არა გვყოფს“. მან მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ამ საკითხის გადაწყვეტაში მიიღო მონაწილეობა.

გიორგი ჩაკვეტაძემ „ძალიან დიდი გამარჯვება“ უწოდა ვაკის პარკში სასტუმროს მშენებლობის შეჩერებასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას და მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ამ პროცესში მონაწილეობდა. დიდ დიღომში, მომხდარ უბედურ შემთხვევაზე განაცხადა, რომ ეს საკითხი ოპოზიციისთვის გახდა „პოლიტიკური კეკლუცობის“ მიზეზი და ეს ტრაგედია დააბრალეს მუნიციპალიტეტს იმ მიზეზით, რომ კორპუსი, სადაც მოხდა ბუნებრივი აირის აფეთქება, არ იყო ჩაბარებული. მისი თქმით, თბილისში ბევრი ჩაუბარებელი კორპუსია, თუმცა, ოპოზიციის წარმომადგენლებს ავიწყდებათ, რომ თავად არიან იმ რეგულაციების შემოქმედნი, რომლებსაც დღეს უკუძალა

ვეღარ ექნება. გიორგი ჩაკვეტაძემ ისაუბრა თბილისის 2019 ბიუჯეტზე და განაცხადა, რომ ძალიან დიდი მიღწევაა ის, რომ ბიუჯეტი გადააჭარბებს მილიარდ ლარს, თუმცა, ამავდროულად მეტი პასუხისმგებლობაა, რადგან ბიუჯეტის ათვისება უნდა მოხდეს მაქსიმალურად ეფექტურად, უფრო მეტი ტემპით და შემართებით.

დათო ჟღენტმა განაცხადა, რომ ჰქონდა მოლოდინი, რომ დიდ დიღომში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით გაკეთდებოდა განმარტებები, თუმცა, ფაქტია, რომ ამასთან დაკავშირებით, საზოგადოება ვერ მიიღებს პასუხებს. მისი თქმით, ძალიან კარგია, რომ ვაკის პარკში სასტუმროს მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების და ქალაქის ხელისუფლების ჩართულობით მოხდა შეთანხმება და საინტერესოა, ხომ არ აპირებს თბილისის მერია ასევე აქტიურად ჩაერთოს „პანორამა თბილისის“ პროექტის განხორციელებაში და ინვესტორს შესთავაზოს ადგილმონაცვლეობა. ასევე, საინტერესოა, როდის ექნება ქალაქს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა და რა მიზეზით ფერხდება მისი მიღება.

გიორგი ტყემალაძემ ვაკის პარკში სასტუმროს მშენებლობის შეჩერებაზე განაცხადა, რომ ეს არის კონკრეტული მაგალითი, თუ როგორ უნდა მიიღო გადაწყვეტილებები მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე. ასევე, მოქალაქეების კეთილდღეობასთან პირდაპირ კავშირშია თბილისის ბიუჯეტის უპრეცედენტო ზრდა და დღევანდელი ხელისუფლება განაგრძობს ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც მიმართული იქნება ჩვენი ქალაქის და თანამოქალაქეების კეთილდღეობისკენ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის ანაზღაურების შესახებ“;

მომხსენებელი: მამუკა მუმლაძე

4. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: მამუკა მუმლაძე

5. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: მამუკა მუმლაძე

6. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M_3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: მამუკა მუმლაძე

7. „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირზე, კომპლექსი 1, კორპუსი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.35.005.010.01.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

8. „ქალაქ თბილისში, საქსოფმანქანის დასახლების IV კვარტლის კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.013.01.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. „ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლების IV კვარტლის კორპუსი N2ᵃ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.004.02.035) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლების VII მიკრორაიონის კორპუსი N10ᵃ-ში, პირველ სართულზე (საკადასტრო კოდი: N01.11.10.005.021.04.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N189-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.07.023.053.01.526) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქ.თბილისში, მარუაშვილის ქუჩა 150-ში (საკადასტრო კოდი: 101.16.02.014.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში (ნაკვეთი N11/22), ქალაქი თბილისი, ბაგების სატყეო უბანი (ნაკვეთი N11/17) 800 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.08.011.173) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქ.თბილისში, ტაბიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.05.075.015) შპს „ფუდ ენდ ბევერიჯ ჯორჯიასთვის“ (ს/კ.: 405190742)

პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის N170 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, შალვა ახალციხელის ქუჩა 135-ში არსებული 387 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 101.10.07.001.052) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქ.თბილისში, თამარაშვილის შესახვევი N8-ის მიმდებარედ/ქალაქ თბილისში, თამარაშვილის შესახვევი N6-ში ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 821.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობა N3-ის (ფართი 30 კვ.მ.), შენობა-ნაგებობა N8-ის (ფართი 28.89 კვ.მ.), შენობა-ნაგებობა N4-ის (ფართი 69.53 კვ.მ. (მათ შორის სარდაფი 11.46 კვ.მ., I სართულზე 58.07 კვ.მ.), შენობა-ნაგებობა N5-ის (ფართი 21.01 კვ.მ.), შენობა-ნაგებობა N9-ის (ფართი 3.47 კვ.მ.), შენობა-ნაგებობა N1-ის (ფართი 2.09 კვ.მ.), შენობა-ნაგებობა N7-ის (ფართი 29.37 კვ.მ.) და შენობა-ნაგებობა N6-ის (ფართი 33.81 კვ.მ.) (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: N01.14.07.008.137) პირდაპირი განკარგვის ფორმით გადაცემისა და შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქ. N3-ში მდებარე 834.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.14.05.007.467) და ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქ. N3-ში მდებარე 8520.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1, N2, N3, N4 შენობა-ნაგებობების (ს/კ.: N01.14.05.007.059) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. N27ბ-ში მდებარე 64 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.10.15.007.145) 40 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სს „დი ენდ ბი საქართველოსთვის“ (ს/კ.: 404917131) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის ჩიხი 137-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (ს/კ.: N01.14.14.005.163) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ეკა ცეცხლაძე

21. „ქ.თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ყიფიანის ქ.N31-ში მთაწმინდის ქ.N19-17-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2012 წლის 20 სექტემბრის N2767 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

22. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.18.13.036.006, 01.18.13.036.007, 01.18.13.036.008, 01.18.13.036.003, 01.18.13.036.002, 01.18.13.036.001, 01.18.13.036.005, 01.18.13.036.004 ფართობი 12000 კვ.მ.) სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

23. „სსიპ ქალაქ თბილისის N106 საჯარო სკოლისათვის ზურაბ იარაჯულის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: თამარ ტალიაშვილი

თანამომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

24. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ცაცა ამირეჯიბის II შესახვევის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

25. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ცხრა შესახვევისთვის ცაცხვების სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

26. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ელიას მთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი გასასვლელისთვის კვიპაროსის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

27. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, აფხაზეთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ტამიშის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

28. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, სატყეოს ქუჩის გაგრძელების და მასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის სატყეოს სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

29. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ძველი ვეძისის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ძველი ვეძისის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

30. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, კორნელი სანაძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის კორნელი სანაძის III ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

31. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სადგერის ქუჩასა და აკაკი ჩხენკელის ქუჩებთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული ოთხი გასასვლელისთვის და ერთი შესახვევისთვის სახელმწიფო მოღვაწის ყადირ შერვაშიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

32. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯორში, ვაჟა-ფშაველას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის ეკატერინე ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

33. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, იუნკერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის იუნკერის, მაიორ არჯევან ანანიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 მაისის N115 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

34. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, არჯევან ანანიაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის იუნკერის ბესარიონ კემულარიას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

35. „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის აკაკი ბელიაშვილის IV ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 სექტემბრის N297 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ ცვლილებები ხორციელდება გარდამავალი ნაშთის და 2019 წლის შემოსავლების პროგნოზის საფუძველზე. 2019 წლის ბიუჯეტი იზრდება 72650000 ლარით და ეს თანხა გადანაწილდება სხვადასხვა მიმართულებით. ესენია: გზების მშენებლობა და აღდგენა, მათ შორის დაფინანსდება ჭავჭავაძის გამზირის, ხიზანიშვილის და ვეკუას ქუჩების, კახეთის გზატკეცილის სარეაბილიტაციო სამუშაოები და მაჭავარიანისა და გელოვანის ქუჩების დამაკავშირებელი გზის მშენებლობა; 2018 წელს დაწყებული საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობასა და აღდგენა-რეკონსტრუქციას; დაფინანსდება კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები; სპორტული ღონისძიებები და შემოქმედებითი თბილისის ქვეპროგრამა.

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ ეს თანხა არ არის გადანაწილებული რაციონალურად და დაინტერესდა, მაშინ, როდესაც ქალაქში უამრავი პრობლემაა სხვადასხვა მიმართულებით, რატომ არ გაიზარდა ავარიული კორპუსების, გამწვანების, დასუფთავების ღონისძიებების, ეკონომიკის ხელშეწყობის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ან ჯანდაცვის და სოციალური მიმართულებების დაფინანსება. ირაკლი ნადირაძის თქმით, ეს არ არის მიზნობრივი ან სპეციალური ტრანსფერი, რომელიც კონკრეტულად ამა თუ იმ საჭიროებისთვის უნდა მიმართულიყო და აქედან გამომდინარე, გაუგებარია, რატომ არ მოხდა ამ თანხის გადანაწილება უფრო მნიშვნელოვანი პრიორიტეტების მიხედვით.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ 2018 წლის ბიუჯეტი შესრულებულია 98%-ზე მეტი მაჩვენებლით და რაც შეეხება თანხას, რომლითაც იზრდება 2019 წლის ბიუჯეტი, უნდა ითქვას, რომ ნაშთის წილი არის მცირედი - დაახლოებით 12-13 მილიონი ლარი, ხოლო ძირითადი თანხა გაზრდილია შემოსავლების ხარჯზე.

დავით უთმელიძემ აღნიშნა, რომ დაფინანსება მიმართულია „სასიცოცხლოდ საჭირო" პროექტების განხორციელებისკენ. რაც შეეხება სოციალურ მიმართულებას, 2019 წლის ბიუჯეტში გამოყოფილია საკმარისი დაფინანსება და საჭიროების შემთხვევაში, აუცილებლად მოხდება თანხის დამატება.

ლილე ლიპარტელიანმა გაიხსენა კახა კალაძის დაპირება, რომ გაითვალისწინებდა აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების პროგრამისთვის თანხის დამატებას, რომ აღარ ყოფილიყო მომლოდინეების რიგი. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ამისთვის საკმარისი იქნებოდა მხოლოდ ნახევარი მილიონი ლარის დამატება, წარმოდგენილი ცვლილებებით, ამ მიმართულებით, არაფერია გათვალისწინებული.

ლევან ხაბეიშვილმა აღნიშნა, რომ შემოსავლების ნაწილში, ყოველწლიურად იზრდება ამოსაღები ჯარიმების თანხა და დაინტერესდა, რით არის აღნიშნული გამოწვეული და ასევე, საინტერესოა, რატომ ვერასდროს ხერხდება ბაღის პედაგოგებისთვის ხელფასების გაზრდა იმ ფონზე, როდესაც შემოღებულია საპენსიო ფონდი და დაქვითული 2%-ით მათ ფაქტობრივად, კიდევ უფრო შეუმცირდათ შემოსავალი.

გიორგი ჩაკვეტაძემ აღნიშნა, რომ 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, ჩატარდება ახალგაზრდული სპორტული ფესტივალი და კალათბურთის სხვადასხვა ჩემპიონატები და დაინტერესდა, იქიდან გამომდინარე, რომ დაგეგმილია რამდენიმე კალენდარული ღონისძიება, ხომ არ არის მოსალოდნელი სპორტის მიმართულებისთვის დაფინანსების დამატება.

რამინა ბერაძემ განაცხადა, რომ გასაგებია წუხილი იმაზე, თუ რატომ არ დაემატა დაფინანსება სხვა, ასევე, მნიშვნელოვან მიმართულებებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თანხა გადანაწილებულია მიზნობრივად, კერძოდ, განხორციელდება ბევრი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი. უახლოეს მომავალში მოსალოდნელია სხვადასხვა ტრასფერის განხორციელება, რომელიც განკუთვნილი იქნება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ავარიული კორპუსების მიმართულებით. ჯარიმების კუთხით მიღებული შემოსავლების დაგეგმვაზე განაცხადა, რომ ამ მიმართულებით 2019 წლის შემოსავლის დაგეგმვა განხორციელდა 2018 წლის ფაქტობრივი შემოსავლის მიხედვით. ასევე, ისაუბრა ბაღების პედაგოგების ხელფასების გაზრდაზე და განაცხადა, რომ საკრებულოში არ არსებობს არც ერთი ადამიანი, რომელიც არ ინტერესდება ამ საკითხით, ყველა დაინტერესებულია მათი პირობების გაუმჯობესებით და ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ უახლოეს წლებში განხორციელდეს თბილისის დღევანდელი ხელისუფლების დაპირებები.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა განაცხადა, რომ მხოლოდ ბიუჯეტის ზრდა არ არის სიხარულის საფუძველი, რადგან ამდენი პროექტის მიმდინარეობის ფონზე, დედაქალაქის ვითარება არც უმჯობესდება და არც უკეთესი მომავლის იმედი ჩანს. ამის მთავარი მიზეზი კი არის ის, რომ არ გვაქვს ქალაქის განვითარების ერთიანი ხედვა და სტრატეგია, რისი საფუძველიც იქნებოდა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა. მისი თქმით, ბიუჯეტის ზრდასთან ერთად, იზრდება ბიუროკრატიის ხარჯები, რასაც „ანომალია" უწოდა და განაცხადა, რომ უმჯობესი იქნება დედაქალაქის ხელისუფლება წავიდეს ბიუროკრატიის შემცირებისკენ, სამსახურებს შორის კოორდინაციაზე და კადრების კომპეტენტურობაზე. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დაინტერესდა, რა არის გათვალისწინებული 2019 წლის ბიუჯეტში გენ.გეგმის იმპლემენტაციისა და ბიუროკრატიის შემცირებისთვის.

ოთარ გრიგოლიამ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ბიუჯეტისთვის დამატებული თანხის დიდი ნაწილის ინფრასტრუქტურული პროექტებისკენ მიმართვა, რადგან როდესაც საუბარია ბიუჯეტის სოციალურ ნაწილზე, უნდა აღინიშნოს, რომ სწორად ინფრასტრუქტული

პროექტების განხორციელება უზრუნველყოფს ადამიანების დასაქმებას. აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების დახმარების პროგრამის დაფინანსებაზე აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით, ლიმიტი გაიზრდება და დაპირება შესრულდება.

თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში კულტურის მიმართულებით, წარმოდგენილია მცირედი მატება, რაც მისასალმებელია, რადგან იზრდება იმ პროგრამის დაფინანსება, რომელიც გულისხმობს კრეატიული ინდუსტრიების და შემოქმედებითი მიმართულების პოპულარიზაციას და ხელშეწყობას. საბავშვო ბაღების პედაგოგების ხელფასების ზრდაზე განაცხადა, რომ სწორად მან დააყენა ეს საკითხი ქალაქის მერის წინაშე, რომლის პოზიციაც იყო, რომ ეს არის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი და ამ მიმართულებით მერიაში მიმდინარეობს მუშაობა.

გაიოზ თალაკვაძემ უპასუხა დასმულ შეკითხვაებს და განმარტა, რომ გარდამავალი ნაშთი წარმოქმნა შემოსავლებმა, რომლის შესრულებაც 2018 წლის ბიუჯეტში იყო 103%-ზე მეტით. ყველასთვის ცნობილია, შემოსავლების გადაჭარბებით მიღებული თანხით ბიუჯეტის გაზრდა დეკემბრის ბოლოს არ არის შესაძლებელი, რადგან ეს თანხა აუთვისებელი დარჩება. შესაბამისად, გარდამავალი ნაშთი, რომელმაც შეადგინა დაახლოებით 43 მილიონი ლარი, დაემატა 2019 წლის ბიუჯეტს. 5 მილიონ ლარზე მეტი იყო სპეციალური ტრანსფერიდან მიღებული თანხის ნაშთი, რომლის გადმოტანაც გამოწვეულია იმით, რომ წელსაც გრძელდება დაწყებული სამუშაოები. რაც შეეხება ჯარიმებისგან მისაღები შემოსავლების ზრდის პროგნოზს, ეს გამოწვეულია არა რაიმე ახალი რეგულაციებით, არამედ გაუმჯობესებული ადმინისტრირებით. აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების დახმარების პროგრამისთვის დაფინანსების გაზრდის მიმართულებით მუშაობს შესაბამისი სამსახური და უახლოეს მომავალში წესი წარედგინება საკრებულოს და ბიუჯეტშიც აისახება შესაბამისი თანხა. რაც შეეხება სხვა მიმართულებებს, რომლებზეც ამ ეტაპზე არ მოხდა თანხის დამატება, განაცხადა, რომ 2019 წლის ბიუჯეტის შედგენისას, ყველა მიმართულება დეტალურად იქნა განხილული და შეჯერებული იქნა საკმარისი დაფინანსება, ხოლო თუ სადმე თანხის დამატება იქნება საჭირო, ამის არაერთი შესაძლებლობა იქნება წლის განმავლობაში. გენ.გეგმასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ ამ მიმართულებით თანხა გათვალისწინებულია ბიუჯეტში და საჭიროების შემთხვევაში, ამ მიმართულებითაც მოხდება თანხის დამატება.

ლევან ხაბეიშვილმა მიმართა გაიოზ თალაკვაძეს, რომ ბაღის პედაგოგების ანაზღაურებასთან და ბიუროკრატიის შემცირებასთან დაკავშირებით დასმულ კითხვებზე პასუხი არ მოუსმენია.

გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ ბაღის პედაგოგებს შემოსავალი 2%-ით არ შემცირებიათ, რადგან ეს თანხა მათივე საპენსიო ფონდში დაგროვდება, თუმცა ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში შესაძლებელია მოხდეს ბაღების სუბსიდიის ზრდა და პედაგოგებს გაეზარდოთ ხელფასები. რაც შეეხება ბიუროკრატიისთვის თანხის კლებას, განაცხადა, რომ 2018 წლის გარდამავალი ნაშთის თანხა ძირითადად დაზოგილია სწორედ ბიუროკრატიისა და მერიის ფუნქციონირებისთვის განკუთვნილი დაფინანსებიდან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო

სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს იურიდიულ საქალაქო სამსახურში, ადმინისტრაციული საჩივრების მიმართულებით, ოთხი საშტატო ერთეულის დამატებას. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ ყოველთვიურად მატულობს ადმინისტრაციული საჩივრების რაოდენობა და საჭიროა მათზე დროული და ადეკვატური რეაგირება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის ანაზღაურების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა მუმლაძემ და განმარტა, რომ თბილისის ბიუჯეტის დამტკიცების შემდგომ, ყოველწლიურად ხდება აღნიშნული დადგენილების განახლება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა მუმლაძემ.

ნინო ლაცაბიძემ აღნიშნა, რომ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს არაერთხელ მიმართა M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების მარშრუტებში ცვლილებასთან დაკავშირებით, რაზეც იყო პასუხი, რომ მერია ელოდებოდა კვლევის დასრულებას და დაინტერესდა, რა აუცილებლობით არის გამოწვეული წარმოდგენილი ცვლილებები და ხომ არ აჯობებს, შემდგომი ცვლილებების განხორციელება მხოლოდ კვლელვის დასრულების შემდეგ.

მამუკა მუმლაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები გამოწვეულია იმ პოლიტიკიდან გამომდინარე, რომელსაც მიმართა მუნიციპალიტეტმა, კერძოდ, ავტობუსების დამატება სხვადასხვა ხაზებზე და მეტროს შემადგენლობისთვის ვაგონების დამატება. საიდან გამომდინარეც მგზავრების რაოდენობა მოაკლდა მიკროავსტობუსებს და ხდება რამდენიმე მარშრუტის გაუქმება. რაც შეეხება კვლევას, ის ცხადყოფს, თუ როგორ უნდა მოხდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურება სხვადასხვა უბნებში, რა რესურსი იქნება ამისთვის საჭირო და როგორ უნდა მოხდეს M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების გადანაწილება.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების მარშრუტებთან დაკავშირებით, საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებს, ამა თუ იმ რაიონის მოსახლეობის

საჭიროებებიდან გამომდინარე, აქვს გარკვეული მოსაზრებები და წინადადებები. აქედან გამომდინარე, უმჯობესი იქნება, სამომავლოდ, მსგავსი ცვლილებების განხილვა მოხდეს საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებთან შეთანხმებით.

ირაკლი ნადირაძე დაეთანხმა გიორგი ტყემალაძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას და მიმართა მამუკა მუმლაძეს, არა მხოლოდ უმრავლესობის, არამედ უმცირესობის პოზიციაც არის ის, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მარშრუტების დაგეგმვა და მარშრუტებში ცვლილებების განხორციელება აუცილებლად უნდა მოხდეს საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებთან აქტიური თანამშრომლობით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

5. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა მუმლაძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M_3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა მუმლაძემ და განმარტა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით ინიციატივა ეკუთვნის რუსთავის საკრებულოს. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე მარშრუტის განხილვის შედეგად შერჩეული იქნა მარშრუტი, რომელიც იმოძრავებს ისნის მეტრომდე. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ თბილისის მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით მოხდება ავტობუსების ხარისხის და ვიზუალის შერჩევა.

ნინო ლაცაბიძემ აღნიშნა, რომ იქ, სადაც უნდა მოეწყოს რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მოძრავი ავტობუსების ბოლო ლოკაცია, არის დასახლებული ტერიტორია და აუცილებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, რათა დღის წესრიგში არ დადგეს ანტისანტარიის და ჰაერის დაბინძურების პრობლემა.

ირაკლი ნადირაძე დაინტერესდა, არის თუ არა ცნობილი რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მოძრავი ავტობუსით მგზავრობის საფასური და რადგან მარშრუტი საქალაქთაშორისოა, გავრცელდება თუ არა საშეღავათო ტარიფი.

მამუკა მუმლაძემ განმარტა, რომ მგზავრობის საფასური უნდა განისაზღვროს კომისიის მიერ, კონკურსის წესით და ის უნდა იყოს მარშრუტის ადეკვატური. რაც შეეხება იმას, იმოქმედებს თუ არა აღნიშნულ მარშრუტზე საშეღავათო ტარიფი, ამ ეტაპზე უცნობია, თუმცა, ეს არის მსჯელობის საგანი, რის საფუძველზეც მოხდება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირზე, კომპლექსი 1, კორპუსი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.35.005.010.01.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 45 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც მრავალი წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისში, საქსოფმანქანის დასახლების IV კვარტლის კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.013.01.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 16 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 2001 წლიდან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლების IV კვარტლის კორპუსი N2ᵃ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.004.02.035) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 85 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც დაახლოებით 22 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლების VII მიკრორაიონის კორპუსი N10ᵃ-ში, პირველ სართულზე (საკადასტრო კოდი: N01.11.10.005.021.04.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 35 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 17 წელზე მეტია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N189-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.07.023.053.01.526) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 30 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც მრავალი წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქ.თბილისში, მარუაშვილის ქუჩა 150-ში (საკადასტრო კოდი: 101.16.02.014.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 514 კვ.მ. 11 ერთეული ფართის საკუთრებაში გადაცემა თერთმეტი ოჯახისთვის, რომლებიც აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ დაახლოებით 2000-2003 წლებიდან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში (ნაკვეთი N11/22), ქალაქი თბილისი, ბაგების სატყეო უბანი (ნაკვეთი N11/17) 800 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.08.011.173) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ საჯარო რეესტრში ერთი და იგივე მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია ორ პიროვნებაზე და იქიდან გამომდინარე, რომ ერთ-ერთ მოქალაქეს მიწის ნაკვეთზე განთავსებული აქვს შენობა-ნაგებობა, მეორეს ეძლევა შესაძლებლობა, მიმდებარე ტერიტორიაზე განახორციელოს ქონების რეგისტრაცია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქ.თბილისში, ტაბიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.05.075.015) შპს „ფუდ ენდ ბევერიჯ ჯორჯიასთვის“ (ს/კ.: 405190742) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის N170 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ შპს-ს, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, გადაცემული ჰქონდა 173 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, თუმცა არქიტექტურის სამსახურის ნებართვის საფუძველზე, ღია კაფეს განთავსება მოხერხდა მხოლოდ 56 კვ.მ.-ზე. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, შალვა ახალციხელის ქუჩა 135-ში არსებული 387 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 101.10.07.001.052) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთის გარკვეული ნაწილი რეგისტრირებულია ორ პიროვნებაზე. წარმოდგენილი პროექტით, ერთ-ერთ მოქალაქეს ეძლევა შესაძლებლობა, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე განახორციელოს ქონების რეგისტრაცია და ამასთანავე გადაიხადოს მიწის ნაკვეთებს შორის არსებული ფასთა სხვაობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

16. „ქ.თბილისში, თამარაშვილის შესახვევი N8-ის მიმდებარედ/ქალაქ თბილისში, თამარაშვილის შესახვევი N6-ში ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 821.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობა N3-ის (ფართი 30 კვ.მ.), შენობა-ნაგებობა N8-ის (ფართი 28.89 კვ.მ.), შენობა-ნაგებობა N4-ის (ფართი 69.53 კვ.მ. (მათ შორის სარდაფი 11.46 კვ.მ., I სართულზე 58.07 კვ.მ.), შენობა-ნაგებობა N5-ის (ფართი 21.01 კვ.მ.), შენობა-ნაგებობა N9-ის (ფართი 3.47 კვ.მ.), შენობა-ნაგებობა N1-ის (ფართი 2.09 კვ.მ.), შენობა-ნაგებობა N7-ის (ფართი 29.37 კვ.მ.) და შენობა-ნაგებობა N6-ის (ფართი 33.81 კვ.მ.) (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: N01.14.07.008.137) პირდაპირი განკარგვის ფორმით გადაცემისა და შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთი, კომპენსაციის სახით, გადაეცემა 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ ორ პიროვნებას. ამასთანავე, ამ ტერიტორიაზე, ინვესტორის მიერ, განხორციელდება მშენებლობა, რის შემდეგაც ზემოთ აღნიშნული ორი მოქალაქე დაკმაყოფილდება საცხოვრებელი ფართით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

17. „ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქ. N3-ში მდებარე 834.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.14.05.007.467) და ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქ. N3-ში მდებარე 8520.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1, N2, N3, N4 შენობა-ნაგებობების (ს/კ.: N01.14.05.007.059) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია იპოდრომთან მდებარე, ყოფილი კორტების ტერიტორიის ნაწილის სანაცვლოდ, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გადაცემა. აღსანიშნავია, რომ ინვესტორთან გრძელდება მოლაპარაკება, მუნიციპალიტეტისთვის ამ ტერიტორიის სრულად დაბრუნებაზე, რათა შემდგომ მოხდეს მისი განვითარება სპორტული მიმართულებით.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი საკითხი ქალაქისთვის მეტად მნიშვნელოვანია და მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ამ პროექტის გარშემო მიმდინარე პროცესებში იყო ჩართული.

გიორგი ჩაკვეტაძე დაეთანხმა ვახტანგ შაქარიშვილს და განაცხადა, რომ 2019 წლის ბიუჯეტში სპორტული მიმართულებით გამოყოფილი დაფინანსების საშუალებით, აღნიშნულ ტერიტორიაზე შესაძლებელი იქნება განხორციელდეს ქალაქისთვის და მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი პროექტი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. N27ბ-ში მდებარე 64 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.10.15.007.145) 40 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სს „დი ენდ ბი საქართველოსთვის“ (ს/კ.: 404917131) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

19. „ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის ჩიხი 137-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (ს/კ.: N01.14.14.005.163) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტის თანახმად, მუნიციპალიტეტს გადმოეცემა კერძო საკუთრებაში არსებული გამწვანებული ტერიტორია, რომლის კეთილმოწყობასაც გეგმავს შესაბამისი რაიონის გამგეობა, ხოლო ინვესტორს, სამშენებლო განვითარებისთვის, გადაეცემა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი. აღსანიშნავია, რომ ინვესტორის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ფასს, თუმცა, მუნიციპალიტეტი, ინვესტორის სასარგებლოდ, არ იხდის მიწის ნაკვეთებს შორის არსებულ ფასთა სხვაობას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

20. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ეკა ცეცხლაძემ და განმარტა, რომ ამ ეტაპზე, ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია 3 პოზიცია (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილი: N12-03183655-03 თარიღი: 31.12.2018), რომლებზეც ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული

დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის და გარემოს დაცვის კომისიების რეკომენდაციების გათვალისწინებით, დადებითად შეფასდა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

21. „ქ.თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ყიფიანის ქ.N31-ში მთაწმინდის ქ.N19-17-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2012 წლის 20 სექტემბრის N2767 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია ახალი საკადასტრო ერთეულების დაფიქსირება და ერთიანი არეალის დაყოფა სამ სექტორად. აღნიშნული ცვლილება სექტორ 1-ზე გამოიწვევს კ2 კოეფიციენტის 2.5-დან 2.6-მდე გაზრდას, თუმცა უცვლელი დარჩება სამშენებლო მოცულობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

22. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.18.13.036.006, 01.18.13.036.007, 01.18.13.036.008, 01.18.13.036.003, 01.18.13.036.002, 01.18.13.036.001, 01.18.13.036.005, 01.18.13.036.004 ფართობი 12000 კვ.მ.) სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ ტერიტორიის ფართობია 12000 კვ.მ., რომელზეც ვრცელდება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა. პროექტის ფარგლებში შემოთავაზებულია ზონის სტატუსის ცვლილება სარეკრეაციო ზონა 3-ით, რადგან დაგეგმილია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

23. „სსიპ ქალაქ თბილისის N106 საჯარო სკოლისათვის ზურაბ იარაჯულის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და აღნიშნა, რომ ზურაბ იარაჯული არის საქართველოს ეროვნული გმირი, სამხედრო მფრინავი, რომელიც დაიღუპა აფხაზეთში. აქვე განმარტა, რომ ინიციატივის ავტორია N106 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭო და დირექცია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

24. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ცაცა ამირეჯიბის II შესახვევის გაგრძელების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

25. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ცხრა შესახვევისთვის ცაცხვების სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

26. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ელიას მთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი გასასვლელისთვის კვიპაროსის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

27. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, აფხაზეთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ტამიშის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

28. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, სატყეოს ქუჩის გაგრძელების და მასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის სატყეოს სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

29. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ძველი ვეძისის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ძველი ვეძისის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

30. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, კორნელი სანაძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის კორნელი სანაძის III ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

31. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სადგერის ქუჩასა და აკაკი ჩხენკელის ქუჩებთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული ოთხი გასასვლელისთვის და ერთი შესახვევისთვის სახელმწიფო მოღვაწის ყადირ შერვაშიძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

32. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯორში, ვაჟა-ფშაველას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის ეკატერინე ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

33. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, იუნკერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის იუნკერის, მაიორ არჯევან ანანიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 მაისის N115 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა და განმარტა, რომ 2018 წელს სახელდება განხორციელდა ამხანაგობის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომელიც არ იყო დარეგისტრირებული. განკარგულების წარმოდგენილი პროექტით აღმოიფხვრება აღნიშნული ხარვეზი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

34. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, არჯევან ანანიაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის იუნკერის ბესარიონ კემულარიას სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

35. „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის აკაკი ბელიაშვილის IV ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 სექტემბრის N297 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა და განმარტა, რომ განკარგულების „ა“ პუნქტში დიდუბის რაიონის ნაცვლად მითითებულია საბურთალოს რაიონი. ამ ეტაპზე, წარმოდგენილია აღნიშნული ხარვეზის შესწორება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 7 დადგენილება და 28 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი